ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7999243

ნომერი: AR11151293

თარიღი : 07.07.2026

გაცემის თარიღი : 13.07.2026

გაცნობის თარიღი : 13.07.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, N 1 , (ნაკვეთი 33/109);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ მაჭავარიანი პ/ნ 01011092057
- ქ.თბილისი, ისნის რაიონი, ვაზისუბნის IVმ/რ, Iკვ, 16 კორპ

ორგანიზაცია:

- შპს "გოუნეტი" კოდი: 40461205

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კერძო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხისა და დრენაჟის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

წარმოდგენილია 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული, სარეგისტრაციო ნომრით B26077663 სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „სპორტის სასახლეს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211360944) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ერთპიროვნული დირექტორის ნატო ჯაფარიძის (პირადი 01017033623) მიერ გაცემული თანხმობა, რომელიც არ არის მისაღები და არ არის შესაბამისი შემდეგი მიზეზ-გარემოებანის გამო, კერძოდ:

ა) ნატო ჯაფარიძის (პირადი 01017033623) თანხმობა ეძლევა უშუალოდ სამუშაოების მწარმოებელ შპს „გოუნეტს“ და თანხმობა არ ეძლევა უშუალოდ დამკვეთს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (საიდენტიფიკაციო

ნომერი: 202886788), რაც წარმოადგენს შეცდომას. წინამდებარე №AR11151293 განცხადებით სხვა დანარჩენ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილია შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788) და შპს „გოუნეტი“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404612095) შორის დადებული ხელშეკრულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების შესახებ №04/5-4/2, რომლითაც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - კომპანიის გვირაბებში და შენობა-ნაგებობებში 02 (ორი) წლის ვადით 15 (თხუთმეტი) მმ-მდე დიამეტრის მქონე მესაკუთრის განმასხვავებელი ნიშნით მარკირებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი შემდეგი საკაბელო ხაზის გატარება;

ბ) ნატო ჯაფარიძის (პირადი 01017033623) მიერ გაცემულ თანხმობაში არ არის მითითებული შპს „გოუნეტის“ უნივერსალური საიდენტიფიკაციო ნომერი;

გ) გაუგებარია რა მიზანს ემსახურება ზემოხსენებულ დოკუმენტზე ნატო ჯაფარიძის (პირადი 01017033623) მიერ გაცემულ თანხმობაზე დატანილი მონაცემის მიხედვით შპს „გოუნეტი“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404612095) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ერთპიროვნული დირექტორის გიორგი ჭუმბურიძის (პირადი 01017044749) ციფრული ხელმოწერის გამოსახვა, თუმცა დამატებით აუცილებელია აღინიშნოს, - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ციფრული ხელმოწერის პორტალზე გადამოწმებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ნატო ჯაფარიძის (პირადი 01017033623) მიერ გაცემული თანხმობა არ შეიცავს გიორგი ჭუმბურიძის (პირადი 01017044749) ციფრულ ხელმოწერას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
-განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე: განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო კონკრეტული ნაგებობის შესაბამისი ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
-მოთხოვნის შინაარსი: მიეთითოს კონკრეტულად რის ნებართვას ითხოვს განმცხადებელი, კავშირგაბმულობის ხაზის შემთხვევაში მიეთითოს შესაბამისი ფუნქცია (კავშირგაბმულობის ხაზი);
-ფოტომონტაჟი: წარმოსადგენია კარგად დამუშავებული ფოტომონტაჟი (რეალისტური), რასაც თან უნდა დაერთოს ასევე შესაბამისი პროექტი;
-შპს „სპორტის სასახლეს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211360944) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ერთპიროვნული დირექტორის ნატო ჯაფარიძის (პირადი №01017033623) მიერ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788) სახელზე წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა სამუშაოების განხორციელებაზე.

გარდა ზემოხსენებულისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განსაკუთრებული ხაზგასმით განმარტავს შემდეგს:
-იმ შემთხვევაში, სამუშაოების განხორციელება შპს „სპორტის სასახლეს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211360944) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გარდა, თუ დაგეგმილია სხვა მიწაზეც / სხვა მიწის ნაკვეთზეც, მაშინ დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტი, სახელდობრ - ა) წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ყველა აბსოლუტურად ყველა იმ მიწის ნაკვეთის / მიწის მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზეც / მიწაზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოები (თანხმობა გაცემული უნდა იქნეს მასზედ, რომ საკითხის განმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „გოუნეტი“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404612095) უფლებამოსილი წარმომადგენლის ზურაბ მაჭავარიანის (პირადი №01011092057) მიერ №AR11151293 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასის ნიშან-მახასიათებლების მქონე სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა, ანუ გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).
- იმ შემთხვევაში, სამუშაოების განხორციელება თუ გავლენას იქონიებს ანდა შესაძლოა, რომ გავლენა იქონიოს ისეთ ხაზობრივ ნაგებობაზე, რომლის მესაკუთრის პოზიციაც არ არის ცნობილი, მაშინ წარმოდგენილი უნდა იქნეს

შემდეგი დოკუმენტები, კერძოდ:

- წერილობით გაცემული დასათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ყველა აბსოლუტურად ყველა იმ ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრისა, ვისსაკუთრებაში არსებულ ხაზობრივნაგებობაზეც გავლენას იქონიებსანდა შესაძლოა, რომგავლენა იქონიოს განსახორციელებელმა სამუშაოება (თანხმობაგაცემული უნდა იქნესმასზედ, რომ საკითხისგანმხილველმა უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დააკმაყოფილოს შპს „გოუნეტი“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404612095) უფლებამოსილი წარმომადგენლის ზურაბმაჭავარიანის (პირადი №01011092057) მიერ №AR11151293 განცხადებით დაყენებული მოთხოვნა და წერილობით დაადასტუროს პირველი კლასისნიშან-მახასაითებლების მქონესამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა, ანუ გამოცეს აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.